

პუბლიკაცია

„ჯამუ დო კოკეხე“

(მეგრული საშაირო ფოლკლორის ნიმუში)

„ჯამუ დო კოკეხეს“ ტექსტის დღემდე ორი ვარიანტია გამოქვეყნებული. ერთი, 1921 წლის ჩანაწერი გამოქვეყნებული აქვს მაკარ ხუბუას (მეგრული ტექსტები, ტფილისი, 1937, გვ. 347-353), მეორე, 1936 წლის ჩანაწერი – ტოგო გუდავას (ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები I, თბ., 1975, გვ. 306-312). ახლახან მოპოვებული იქნა 1948 წელს გავონილი და ზეპირად დამახსოვრებული ვარიანტი, რომელსაც წინა ორ ვარიანტთან ერთად ვაქვეყნებთ. ერთი ტოგო გუდავას გამოცემული მეგრული პოეზიის მიხედვით (ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, თბ., 1975, #447, გვ. 306-312), მეორე მაკარ ხუბუას გამოცემულ „მეგრულ ტექსტებშია“ დაბეჭდილი (ტფილისი, 1937, გვ. 347-353). მესამე, ამირან გაბისონიას მიერ მოწოდებული ვარიანტი წინამდებარე ჟურნალში პირველად ქვეყნდება.

„ლექსში მოხსენებული ჯამუ ვაჭარი¹ ყოფილა, კოკეხე² (კოკაიას ქალი) – ქვრივი, სიკოია – მისი ძმა, გულაია ჩაჩა (ჩაჩავა) კი ქალის მეზობელი“ (გუდავა 1975, 451). სამივე ვარიანტში სიუჟეტი ერთნაირად ვითარდება, ოღონდ ცალკეულ პერსონაჟთა სათქმელი ზოგან გავრცობილია, ზოგან – შეკვეცილი, რის გამოც ეს ვარიანტები მოცულობითაც სხვაობენ. თითოეული მათგანი სხვადასხვა დროს და სამეგრელოს სხვადასხვა არეალშია ჩაწერილი: კერძოდ, მაკარ ხუბუას „მეგრულ ტექსტებში“ მოცემულია 1921 წელს ცენტრალურ არეალში (ს. სახარბედიო, ჩხოროწყუს რ-ნი) ჩაწერილი ვერსია, მთქმელი ვალიკო ხარბედია. ტოგო გუდავას კრებულში მკითხველი გაეცნობა 1936 წელს ვლადიმერ ჭითანავას მიერ ს. აბასთუმანში (ზუგდიდის რ-ნი – დასავლური არეალი) გავონილ და ჩაწერილ ტექსტს. გამოუქვეყნებელი ვარიანტი 1948 წელსაა მოსმენილი ს. ქვაითში (მარტვილის რ-ნი

1 სხვა ვერსიით, მეველეა, ყანის მწყემსი (ამირან გაბისონიას განმარტება).

2 „კოკეხე“ ფორმაც ვარიანტულობით გამოირჩევა: კოკაიხე, კოკეხე, კოკეხე, კოკეხე ფორმის სიმრავლესაც არეალური სხვაობა განაპირობებს.

-აღმოსავლური არეალი) და ნახევარი საუკუნის შემდეგ – 2003 წელსაა ჩაწერილი ამირან გაბისონიას მიერ. ვარიანტების ენობრივ სხვაობას განსაზღვრავს არა იმდენად ქრონოლოგიური, არამედ არეალური სხვადასხვაობა, რომელსაც ემყარება საერთოდ მეგრული ენის დიალექტური დაყოფა.

არსებობს „ჯამუ დო კოკეიხეს“ მოგვიანებით (1965) სამეგრელოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილი ოთხი ვარიანტი, რომლებიც ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივშია დაცული. ამ ვარიანტებს მკითხველს გავაცნობთ ნარკვევში, რომელიც მიეძღვნება ტექსტის ენათმეცნიერულ (დიალექტოლოგიურ) და ფოლკლორისტულ ანალიზს.

მოცემული ვარიანტები საინტერესოა ფოლკლორისტებისთვის, ეთნოლოგებისთვის, ლინგვისტებისთვის. თითოეული დარგის მიხედვით გაშიარების ტექსტის ანალიზი ცალკე მსჯელობის თემაა.

I

**ჯამუ დო კოკეინხეში
ლერსი**

ლორონქ თიშენ დგმაბადუ,
ვალდებულება ვათუე.
მართალ, კათა ვა დამიჯერს
მა სიმართლე ვა ქოფთქუე.
საზოგადოს მო გიცხადენთ,
ჯარი გაკომიკათუე.
ათე შაყარუაშ დროს
თენა ქაშიაკათუე.
თაქ ასე მა მუგოშინანთ
ჯამუქ ქოფუ ართი ჩხუნი,

მაჟირა დღას კოკეინხექ
ქემერთგ, შებვეწუ დო თხუნი:

„ჯამუ, პატონ, სი ქოფიო
ოთიფურეს ჩქიმი ჩხოლუ?
მუმეხვარი, ქომჭყოლოფი,
გვერდ თუთა რე გინი ხოლუ.
დიარუა გინს ვა უჩქუ,
გინქ დიდა მიითხუე,
მიდგა ორდე გურს მერჭუნს,
უძუძურო მიირყუე.

ჯამუ

წორეთ ჩხოლუ მა ოპჭოფი,
მიკომკირუ ბაწარით.
უსუდოთ ვე მიმაჩე
თქვა თიზუმა მაწვალით.
გჩქუდას ვითი დლა ორე
პის სადილი მანწარით.
ზარალი ოკო გეპწყენი
ათე ჩხოლუ მაჭვალით.

**ჯამუსა და კოკეინხე
(კოკაიას ასულის) ლექსი**

ღმერთმა იმიტომ დამბადა,
ვალდებულება აღვასრულო,
მართალი ხალხი არ დამიჯერებს,
მე სიმართლე რომ არ ვთქვა.
საზოგადო სათქმელს გამცნობთ,
ჯარი (ხალხი) რომ შემეყარო.
ამ შეკრების დროს
ეს მოგახსენო (შემოგაპარო).
აქ ახლა მე მოგახსენებთ,
ჯამუმ რომ დაიჭირა ერთი
ძროხა,

მეორე დღეს კოკეინხე
რომ მივიდა, შეეხვეწა და
სთხოვა:

„ჯამუ, ბატონო, შენ დაიჭირე
სათივეზე ჩემი ძროხა?
დამეხმარე, მიწყალობე,
ნახევარი თვეა, რაც ხბო მოიგო.
ბალახის ძოვა ხბომ არ იცის,
ხბომ დედა მოითხოვა,
ვინც არ იყო, გულს დაგწვავს,
ურძეოდ ღონემიხდილია.

ჯამუ

სწორედ ძროხა მე დავიჭირე,
დაბმული მყავს ბაწარით,
უსუდოდ ვერ მოგცემ,
თქვენ იმდენი მაწვალეთ.
იცოდე, ათი დღეა
პირში სადილი გამიუგემურეთ.
ზარალი უნდა ავინაზლაურო
ამ მეწველი ძროხით.

კოკეებსე

ჯამუ, პატონ, ჩხუ ქომუჩი,
ნუ მოძირა თე ცოდას!
გინი შეირენს დომილურუ,
დიდას ძუძუქ მეჭყორდას.
ნაზარალუ ხეს მიირთვი,
ფარა, მუსხი გოკოდას.
ვარა თაში განწირენქო,
კორქ მუთუნი შერცოდას?

ჯამუ

აბა, უჯინი, თე ოსურს,
მუს რე თაქ გერდგაბალანს?
ჩქიმი ცვანას ვაარწყენო,
თეშ მაფართა, მაგანასგ!
ჩქიმი ზარალი ვედაჭკირე,
ხუთი კორი მაგანამსგ
ვარა მინი გეუჯერდგ
ხუთი თე-ცალი მაგვანამს!¹

კოკეებსე

ჯამუ, პატონ, ქარწყექო,
კონი თქვანდა დიფრთინი,

მუმოჯინი ოსურობას,
კორჩური ქუდი გითვინი.
ჩქიმი ჩხუში ნაზარალი
ართი ჟირო მიირთვითი,
უზურს ზომა გედვალირი,
ხესგ ფარა მიირთვითი.

ჯამუ

ოსური რექ, მუ გიწუა!
კორი რდენი, ხოლო შხვა რე,
მუნ გიწინი, ათენა რე,
ჩქიმი გურსუ ცოროფა რე.
ქიქუნქუდა... ჩხოუს მერჩა,
ბაწარი ულუნ, ჩხორო-ფა რე.

კოკეებსე

ჯამუ, ბატონო, ძროხა მომეცი
ნუ მანახებ ამ საცოდობას!
ხბო შიმშილით მომიკვდება,
დედას ძუძუ რომ გაუშრეს.
ნაზარალევი ხელზე ინებე,
ფული, რამდენიც გინდოდეს.
ან, ასე გასწირავ
კაცმა, რამე რომ შეგცოდოს?!

ჯამუ

აბა, უყურე ამ ქალს,
რასაა აქ რომ რომავს?
ჩემს ყანას ვერ ხედავს
ამ სიფართე-სიგანეს!
ჩემს ზარალს ვერ მოჭრის
ხუთი კაცი ნამგლიანი.
ან, ვინ დასჯერდება
ხუთ ამნაირ მსგავსს!

კოკეებსე

ჯამუ, ბატონო, ხედავ,
ისევ თქვენთან რომ

დავბრუნდი?

მოხედე (ჩემს) ქალობას,
ვაჟკაცური ქუდი დაიხურე!
ჩემი ძროხის ნაზარალევი
ერთი ორად ინებეთ,
უზნეობაზე ზომა დადებული
ხელზე ფული ინებეთ.

ჯამუ

ქალი ხარ, რა გითხრა!
კაცი რომ იყო, კიდევ სხვაა.
რაც გითხარი, ესაა,
ჩემს გულში სიყვარულია.
თუ იზამ, ძროხას მოგცემ,
ბაწარი რომ აქვს, ცხრაწვერაა.

1 უნდა იყოს: მაგვანასგ.

ვარ-და ეში ვე მემარე,
ჩქიმი გურს გოლოფა რე.

თუ არა და, ისე ვერ მოგცემ,
ჩემს გულში გვალვავა.

კოკეიხე

ფუი, ჯვარი აქორობას!
მათურქიში ოთირალი!
ჯამუ მა თაშ ქუვორდო
სქან ოსურიშ ოთირალი?
სქან ოსური ზისუნახე,
სი ლეკურიშ ოჭკირალი,
მიშქიდანქ-და, შორს ვა გაფუქ,
ცხენსგთ ვპკო ოთხი ნალი.

კოკეიხე

ფუი, ჯვარი აქაურობას!
მე – თურქის სათრევი!
ჯამუ, [ნუთუ] მე ვიყავი
შენი ცოლის სანაცვლო?
შენი ცოლი – მზეთუნახავი,
შე ლეკურით დასაჭრელო.
თუ მიკადრებ, შორს არ გყავარ,
ცხენსაც არ უნდა ოთხი ნალი.

ჯამუ

ასე ჩხოუს მეუკინი,
რადგანს მენდი ქომურჩინი.
ეცალ ჩხოუს ერის მერჩა,
ოლონ კოჩო ქომიჩინი.
ჭუმე თექი მეურქო დო
ცხად ცოროფა გომირჩქინი.

ჯამუ

ახლა ძროხა წაიყვანე / „მისწიე“
რადგანაც იმედი მომეცი.
ასეთ ძროხას ოცს მოგცემ,
ოლონდა კაცად მიცანი.
ხვალ აქ მოვალ და
ცხადად სიყვარული
მაგრძნობინე/„გამიჩინე“

კოკეიხეს მუში ჩხოუ
მეცუნსგ დო მეჩქარენს,
სიკოიანქ ქეშეხვადუ,
ურაგადუ მეშარეს.
თითო-თითოთ ქოუწუ
დო არჯალა დოჭარეს

კოკეიხეს თავისი ძროხა
მიჰყავს და მიიჩქარის,
სიკოია შემოხვდა,
ელაპარაკება გზად შემხვედრს.
დაწვრილებით უამბო
და „პირობა დაწერეს“

სიკოია

თო, ძლაბი, ქუმორთუ და
გეკუბაკუნქ ოფარეს!
სი მანგარო დაასქიდი,
დოურკიე მოხვარეს.
ჩქი თექინე იპიით
ტყობინელი ოსქალეს.
მაჟია დლაქ გოთანდუნი,
ჯამუქ გახოლეს თაქ.
გოლანერი პიჯალაშე
ფიქრენს, ვა ძირას შხვაქ.

სიკოია

ჰო, გოგო, თუ მოვიდა,
დავუბეგვავ ზურგს!
შენ მაგრად დაუხვდი,
მოუხმე დამხმარეს.
ჩვენ იქვე ვიქნებით
დამალულები საფუტკრეში.
მეორე დღე რომ გათენდა,
ჯამუ გეახლათ აქ.
გუშინდელ დაპირებაზე
ფიქრობს, რომ არ ნახოს სხვამ.

მარა ტერს თი ცალი რინა,
ჯამუს გიოდირთგ დლაქ!
მოჯგირეში საწყინქი დო
ტერიშ გაძიცინაფალქ.
მუჭო წესრიგი ორდუნი,
ხე ქემეთხუ მოჯგირეს.
კოკეხექ მიოძახუ:
მუმეხვარით, მორჯგინეს!
ყარაულენქ გეურჩქინდგნ,
ჯამუ ძირეს ოჭინეს.
რტინა მიინდომუ, მარა
ოჭოფეს დო დონჯგვილეს.

კოკეხე

ამუდლა სი მუმაკათი,
ვარდი ჩქიმი ნაჭანეფი!
ოჭკომალი მინორჩქუე
ჩქიმი ცალი საწყალეფი.
სუდშა მიდგორჩაკალუა,
გეგონენა ვაჭარეფი,
სქანი ოკირალო მოკო
მაკარიამ ბაწარეფი.

ჯამუ

სი ურჯულო, მუმენ ბლოლი
თე საქმეში ეწუალა!²
სუმარს თაში ოკოდუო,
სი ოხერი, მოწუალა!
ნეხით ილი მუთ გოკონი,
ონჯლორე რე თე რჩუალა!

კოკეხე

სიფარშივე გემტკიცებუ,
დირაკილი ნინას თქუა.
დუსუ ლაფიქ გინგოწიუ,
მუჭო თოლენს უფაფუა!
გისოუფა³, გიხართუა,
სუდშა მიდგორჩაკალუა.

2 ალბათ "ენწყუალა".

3 ალბათ "გისოფუა".

მაგრამ მტერს ისეთი ყოფა,
ჯამუს (რომ) დაადგა დლე,
მოყვრის საწყენი და
მტრის დასაცინი.
როგორც წესი მოითხოვდა/„იყო“
ხელი მოჰკიდა მოყვარეს.
კოკეხემ დაიძახა:
დამეხმარეთ, დამჯაბნეს!
ყარაულები რომ გამოუჩინდენ,
ჯამუ ნახეს საწყნელეში,
გაქცევა მოინდომა, მაგრამ
დაიჭირეს და დაბეგვეს.

კოკეხე

დლეს შენ მომივარდი,
არ იყავი ჩემი დანაბარები!
დასაჩაგრად მიგაჩნდა თურმე
ჩემნარი საწყლები.
სუდში წაგათრევ,
გაიგებენ ვაჭრები,
შენს შესაკრავად მინდა
მაკარიას ბაწრები.

ჯამუ

შე ურჯულო, რატომ გამიკეთე
ამ საქმის (ასე) აწყობა!
სტუმარს ასე უნდოდა,
შე ოხერო, მოწვევა!
ნეხით წაილე, რაც გინდა,
სირცხვილია ეს გაძარცვა!

კოკეხე

ცილისწამება გიმტკიცდება,
ღვარჭნილად ნათქვამი.
თავს ლაფი დაგესხა,
თვალეზს როგორ ახამნამებ!
არ მოგეშვები, გაგბაწრავ,
სასამართლოში წაგაჩანჩალეზ.

შქაშ-მალუ

იმენდი რე მიღენთინი,
პატიოსანი ნათხუას!
დო პიჯალა მუჭო რდუნი,
ჯამუ ტყურას ვა თქუანს.
თეს ხანი რე ურჩქილექ
თქვან თეზუმა ლანძღუას.
მირიგით, ნუ ინებენტ
საქმეშ აკობანძღუას!

კოკეიხე

ბრელი სიტყვას ნუმ რაგადა,
ნუ იჩიებუქ ბოდიშის!
სასახელოთ დუგობალუ,
ოსური რცუნს ოდიშის.
ქუმურსუნი, დოგილენს,
ქორლოლანს ობისქის.
დო კეტიში ნაბეზას
ქოძირუნა ოჭიშის:
– თოლი, მუჭო რე გალოლუნი,

თელო დიხაშ ოთხორალი!
ორჩინელშე მუქ გალოლუ,
სი დაჩხირიშ გაარზამუ.
მუ კორი გუგობუძოლუნ დო
მინი ლობერს გინოჯანუ.

შქან-მალუ

გიოშაკანალი რენო
კორიშ მომავალი ბედი?
გეშაკანს ვა უჯგუნო,
ჟირი სიტყვათ დიხენდი.
ნაჩალნიკიშა ნუ მერცუნა,
ჭა ხანს აშო დიფრთათ.
პატიოსანი კათა რეთ,
გულია ჩაჩაშა მიფშვად.

გულია ჩაჩა

მირიგით, ბაბა სქუა

შუამავალი

იმედია, რომ მიიღებთ,
პატიოსან თხოვნას!
და პირობა როგორ იყო,
ჯამუ ტყუილს არ იტყვის.
ამდენი ხანია, ვუსმენ
თქვენ(გან) ამდენ ლანძღვას.
მორიგდით, ნუ ინებებთ
საქმის დახლართვას!

კოკეიხე (ჯამუს)

ბევრ სიტყვას ნუ ლაპარაკობ,
ნუ ამბობ ბოდიშს!
სასახელოდ გეყოფა,
ცოლი გყავს ოდიშში.
რომ მოვა, დაგათვალეერებს,
გაგჩნრეკს/„ჩნრეკას ჩაგიტარებს“
და ჯოხით დაბეგვილს
დაგინახავენ ზურგს:
თვალის(ჩინო), როგორ (არის,
რომ) დაგემართა,
ცოცხლად მიწაში დასამარხო.
სიბერეში რა დაგემართა,
შე ცეცხლშემოსავზნებო.
რა კაცი დაგხვევია და
ზოგი ლობესაა გადაწოლილი.

შუამავალი

დასაყვედრებელი არის
კაცის მომავალი ბედი?
დაყვედრებას არ სჯობია
ორი სიტყვით მორიგდით.
უფროსთან ნუ მიგყვით,
ცოტა ხანს აქეთ მოვბრუნდეთ.
პატიოსანი ხალხი ხარო,
გულია ჩაჩასთან მივიდეთ.

გულია ჩაჩა

მორიგდით, მამაშვილობას,

დაჩხირი ვა რე უშქირატ.
ხორციელი ცოფუ, ვარი
ქრისტე ვა რე უჩილათ,
მუჭო რიგი დო წესინი,
სახარებას ურჩქილათ,
დანაშური მეუტუათ,
ჯგირი საქმეს უძინათ.
მოციქულენქ გილართეს,
შესწორებას ქიმეჩეს.
ოში მანათი ხეს ფარა
კოკეიხეს მიართვეს.
ჯამულეთის მოწონებუ
კოკეიხე ჯგირი-ცალო.
სიფარშვიეთ გილგნოვე,
მინორქუე ჩილი-ცალო.
ბოლოს ჯამუს მეურთუმუ,
უგუმორსე ვირი ცალო.
ჯამულეთი ქორქია რე,
ჯვეში დროში ვაჭარი რე,
კოკონეში რკიალი დო
სიკოიამ ლაჭალი რე.

ცეცხლი არ არის უშრეტი.
ხორციელად მყოფი კი არა,
ქრისტე არ არის უცოდველი.
როგორც წესი და რიგია,
სახარებას მოვუსმინოთ,
დანაშაული შევამცინოთ,
კეთილ საქმეს ვუმატოთ.
მოციქულებმა იარეს,
ერთმანეთთან მოარიგეს.
ასი მანეთი ფული ხელში
კოკეიხეს მიართვეს.
ჯამულეთს მოსწონებია
კოკეიხე კარვის მსგავსად.
სიყალბით დადიოდა თურმე,
მიუჩნევია ცოლის მსგავსად.
ბოლოს ჯამუ მისულა
გამოუცდელი ვირის მსგავსად.
ჯამულეთი ქორქია არის,
ძველი დროის ვაჭარი არის.
კოკეიხეს კვილი და
სიკოიას ლანძღვა ისმის/„არის“

ვალიკო ხარბედია, ჩხოროწყუ, სახარბედო, 1921 წ.
(მაკარ ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფილისი, 1937, გვ. 347-353).

II

ჯამუ დო კოკეინე

თიშენი ვორექ ერჩქინელი,
ვალდებული ვათუე,
მართალ კათა ვემენდებუ,
მა სიმართლე ვაფთქუე,
საზოგადოთ გუმვეცხადე,
ჯარი ოკობკათუე,
დო მოწყენილ დრომ ოძიცეთ
თენა ქაშუკათუე.
თაქ ამბეს მოგოშინანთ,
ჯამუქ ჭოფუ ართ ჩხოუნი,

კოკეინექ მაჟრა დღას
მუთ შეხვეწუ დო თხოუნი.

კოკეინე

– ჯამ პატონი! სი ჭოფიო
ოთიფურეს ჩქიმი ჩხოლუ?
მუმეხვარი, მიჭყოლოფი,
ვითოხუთ რე გინი ხოლუ,

დიარუა ის ვაუჩქუ,
გინქ დიდა მიოთხოლუ, მოითხოვა,
თურქ დო ურიას გურს მეჭუნ,
გინს უძუძურო ძიროლუ.

ჯამუ

– სწორეთ ჩხოლუ მა ობჭოფი,
მუკომკირო ბაწარით,
უსუდეთ ვემმაჩე,
თქვა თეშინე მანწვალით.
გირქუდას, ჟგირი დღა რე
ტკბილ სადილი მანწარით,
დო ზარალი ოკო ვემწყე
ათე ჩხოლუ მაჭვალით.

ჯამუ დო კოკაიას ასული

გაჩენილი იმისთვის ვარ,
დავალემა შევასრულო,
მართალი ხალხი არ მენდობა,
მე სიმართლე რომ არა ვთქვა,
საზოგადოებას გამოვეცხადო,
ხალხი შევეყარო,
და მოწყენის დროს სასაცილოდ
ეს შევავალო (შევფურიო).
ამ ამბავს მოგახსენებთ,
ჯამუმ რომ დაიჭირა ერთი
ძროხა,
მეორე დღეს კოკაიას ქალი
რაც ეხვეწა და თხოვა.

კოკეინე

– ჯამუ ბატონო, შენ დაიჭირე
სათიბში ჩემი ძროხა?
დამეხმარე, მიწყალობე,
თხუთმეტი (დღე) არის,
რაც ხბო შობა,
ბალახობა მან არ იცის,
ხბომ დედა მოითხოვა,
თურქსა და ურიას გულს
დაწვავს,
ხბოს უძუძურად რომ ნახავს.

ჯამუ

– სწორედ ძროხა მე დავიჭირე,
მიბია ბაწრით,
„უსუდოდ“ ვერ მოგცემ,
თქვენ ისე მაწვალეთ.
იცოდეთ, ორი დღეა,
გემრიელი სადილი წამიმწარეთ,
ზარალი უნდა ავინაზლაურო,
ამ მეწველი ძროხით.

კოკეხე

– დია¹, პატონი მუს მიწინთ,
კინი თქვანდა დიბრთით,
მიოჯინით ოსურობას,
პატიოსან ქუდი გირთვით,
ჩქიმ ჩხოუში ნაზარალი
ართი ჟირო მირთვით
დო უზურ-ზომა გედვალირი,

ხეს ფარა მირთვით.

ჯამუ

– აბა, უჯინი თე ოსურს,
მუს რე გილარაგადანს
ჩქიმი ცვანას ქაარწყეთო
თეშ მაფართა-მაგანას,
ჩქიმი ნაზარალ ვეიაჭკირე
ხუთი კოს მაგანამს.
ნაზარალიშა ვაბჯერდუქ
ხუთი თეცალი მაგვანას.

კოკეხე

– ჯამ პატონი, ჩხოუ ქომუჩი,
ნუ მოძირა თე ცოდას,
გინქ შექირენს დოღურუ დო
დიდას ძუძუქ მეჭყორდას,
ნაზარალი ხეს მირთვი,
ფარა მუთ გოკოდას,
დო ვარა თაშ გაწირენქო
კოჩქ მუთუნი შერცოდას?

ჯამუ

– აბა, მუ ორე ქოგიჩქენდა,
ართის გიწინქ ოფულარს,
მოჯგირული საქმესი დო
ცოროფილიშ ორჩქილარს,
ჩქიმ სურვილი სკანიწკუმა რე,
მუთ ცოროფას ორჩქინანს.

კოკაიას ქალი

– დია, ბატონო, რას მეუბნებით,
ისევ თქვენთან დავბრუნდით,
შეხეთ (ჩემს) ქალობას,
პატიოსანი ქუდი დაიხურეთ,
ჩემი ძროხით ნაზარალევი
ერთი-ორად მიირთვით.
და განკუთვნილი ზომა

დადებული

ფული ხელზე მიირთვით

ჯამუ

– აბა, შეხედე ამ ქალს,
რას ლაპარაკობს,
ჩემს ყანას ხედავთ
ამ სიფართესა და სიგრძეს,
ჩემს ნაზარალევს ვერ აჭრის
ხუთი ნამგლიანი კაცი.
მე არ დავჯერდები
ხუთ ამდენსაც.

კოკაიას ქალი

– ჯამუ ბატონო, ძროხა მომეცი,
ნუ მაყურებინებ ამ საცოდაობას,
ხბო შიმშილით კვდება და
ძროხას რძე უშრება.
ნაზარალევი ხელზე მიირთვი,
ფული, რამდენიც გინდოდეს,
ან ასე გაწირავ
კაცმა რომ რაიმე შეგცოდოს?

ჯამუ

– აბა, რა არის, თუ იცი,
ერთს გეტყვი საიდუმლოს,
სამოყვრო საქმესა და
საყვარლის სასმენელს.
ჩემი სურვილი შენთანაა,
რაც სიყვარულს აჩენს.

1 დია – გაოცების შორისდებული.

კოკეინე

– დია, პატონი, მუს მიწინე,
აქ მუ მილუ მა ცოდას,
თქვანიშენი მუთას ბზოგე,
მუთუნ დასაქანცე რდას,
ნიტე ეფერ ქომუჩინი,
მუთუნი დამაფასინედას,
დო სქან გურის სასაშველოთ
ჩქიმ ჩხოუს მარზენდას.

ჯამუ

– ოსური რეე, მუ გიწუა,
კოჩი რდენი, ხოლო შხვა რე,
მუთ გიწინი ათენარე –
ჩქიმი გურსუ ცოროფა რე,
ქოს თქუანქ-და, ჩხოუს მერჩა,
ბაწარი გეზუ ჩხორო ფა რე,
ვარდა ეში ვემუმარე,
ჩქიმი გურსუ გოლოფა რე.

კოკეინე

– ჯვარი აქაურობას,
მა თურქიში ოთირალი,
ჯამუ, მა ქუორეეო
სქან ოსურიშ ოთირალი,
სქანი ოსური ზისნახე რე,
სი ლეკურიშ ოჭკირალი,
მიშქიდანქდა შორს ვაგაფუქ,
ცხენს ვაკო ოთხი ნალი.

ჯამუ

– ასე ჩხოუს მეუკუნი,
რადგანს იმედი ქომუჩინი,
ეცალი ჩხოუს ერის მერჩა,
ოლონს კოჩო ქომიჩინი,
ირიფელი სკანოთ მოკო,
მუთ გოკონი მომიჩინი...
კოკეინეს ქუმოცუნს
მუშ ჩხოუ დო მოჩქარენს,

კოკაიას ქალი

– დია, ბატონო, რას აბობ,
აქ რა მაქვს საცოდავს,
თქვენთვის არას დავზოგავ,
რაიმე საშუალება რომ იყოს,
ნეტავი ისეთი რამ მომცეს,
რამედ დაფასება შემეძლოს,
შენს გულს ვუშველი და
ჩემი ძროხა მომცე („მადლევდეს“).

ჯამუ

– ქალი ხარ, რა გითხრა,
კაცი რომ იყო, სხვაა,
რაც გითხარი, ეს არი –
ჩემს გულში სიყვარულია.
ჰოს თუ იტყვი, ძროხას მოგცემ,
ცხრაფა ბაწარი აბია.
თუ არა და, ისე ვერ მოგცემ,
ჩემს გულში გვალვაა.

კოკაიას ქალი

– ჯვარი აქაურობას!
მე თურქის სათრევი,
ჯამუ, ნუთუ მე ვარ
შენს ცოლზე გასაცვლელი?
შენი ცოლი მზეთუნახავია,
შე ხმლით გასაჭრელო,
თუ მიკადრებ, შორს არა ვარ,
ცხენს არ უნდა ოთხი ნალი.

ჯამუ

– ახლა ძროხა წაიყვანე
რახან იმედი მომეცი,
ასეთ ძროხას ოცს მოგცემ,
ოლონდ კაცად მიცანი.
ყველაფერი შენთვის მინდა,
რაც გინდა, შემომითვალე...
კოკაიას ასულს მოჰყავს
თავისი ძროხა და მოიჩქარის.

სიკოიანქ ქემეხვად,
მერაგად მოშარეს,
თითო-თითოთ ქოუწუუ
მუთ პირობა დოჭარეს.
– „თიქ დასურო ქუმორთუდა,
გეკუბათქუნქ ოფარეს,
ძღაბ, დასურო ქუმორთუდა,
ხეს მერთხუნს მოყვარეს,
სი მანგარო დუუსქიდი,
დურკიე მოხვარეს,
ჩქი თექინე იპიით
იბტყობუაფუთ ოფსქლეს,
შურს ხვალე ავოტალე,
გამკუონწყუ ოსარეს.“

მაჟრა დღას გოთანდუ დო
ჯამუქ გახოლეს თაქ,
გოლანერი პირობაშე,
ფიქრენს ვაძირას შხვაქ,
მარა ტერს ლოლამუდას,
ჯამუს გუთანდუნი დღაქ,
მოჯგირეში საწყინქუ დო
ტერიში ოძიცანაფალქ.
მუჭო წესი დო რიგინი
ხე ქიმეთხუ მოჯგირეს,
კოკეიხექ მიორკიუ –
მუმეხვარით, მორჯგინეს!
ყარაულქ გეურჩქინდ,
ჯამუ ვარე ოჯგირეს.

ნტინა მინდომუ, მარა
ოჭოფეს, დონჯგილეს.

კოკეხე

– რადგან ამდლა მუმაკათინ,
ვარდი ჩქიმი ნაჭანეფი,
ოჭკუმალო მინორჩქუე,
ჩქიმიცალი საწყალეფი,
სუდიშა მიდგოსარგალუა,

სიკოია შეხვდა (და)
მოელაპარაკა მგზავრს.
სათითაოდ უამბო,
რაც პირობა „დაწერეს“
– „ის თუ მართლა მოვიდა,
დავუბეგვავ გვერდებს.
ქალო, მართლა თუ მოვიდა,
ხელს მოგკიდებს მოყვარეს,
შენ მაგრად დაუდექი (დაურჩი),
მოუხმე (დაუკივლე) დამხმარეს.
ჩვენ აქ ვიქნებით,
სასკეში დამალული.
მარტო სულს შევარჩენ,
გავხდი პერანგს.“

მეორე დღეს გათენდა და
ჯამუ გეახლათ აქ,
გუშინდელი პირობისამებრ,
ფიქრობს, სხვამ არ დაინახოს,
მაგრამ მტერს დამართოდეს,
ჯამუს რომ დღე გაუთენდა,
ნათესავებისთვის საწყენი და
მტრის გასაცინი.
როგორც წესი და რიგია,
ხელი მოხვია მოკეთეს.
კოკაიას ასულმა იკივლა:
მომეშველეთ, დამჯაბნეს!
ყარაული გაუჩნდა,
ჯამუს ფერი ეცვალა
(არაა კარგ ყოფაში),
გაქცევა დააპირა, მაგრამ
დაიჭირეს, მიტყეპეს.

კოკაიას ქალი

– რახან დღეს მომივარდი,
არ იყავი ჩემი დაბარებული,
თურმე შესაჭმელად მიგაჩნია
ჩემისთანა საწყლები,
სასამართლოში წაგათრევ,

გეგორენა ვაჭარეფი,
სქანი ოკირალო მუკომიბუ

მაკარიაში ბაწარეფი.

ჯამუ

– სი ურჯულო, მუშენ ბლოლი,
თეცალ საქმეში ენწყუალა,
სუმარს თაში ხვადუდუო,
თე საქმეშა მოწუალა,
უცხო მითინი ვავორდით,
ვართ პირველი შეთხუალა,
ნებით ილი მუთ გოკონი,
ონჯლორე რე რჩუალა.

კოკეხე

– ეცალი სიტყვა მუთას გოხვარ,
ნუმ რაგადა ბოდიშის,
სასახელოთ დაგიბალ
ოსური რცუნს ოდიშის,
ქუმურსუნი, დოგილენს,
ქორლოლანს ობისქის,
სიკოშ კეტიშ ნაზეპეფის
ქოვიძირუნს ოჭიშის.

ჯამუ

– იმენდი რე მილენთუნი
პატიოსან ნათხუას,
დაპირება მუთუ რენი,
ჯამუ ტყურას ვათქუანს,
ლორონს უჩქუ, მა ვაბწუხე
თქვანი თეცალი ლანძლუას.

კოკეხე

– სიფარშივე გემტკიცებუ,
დირაკილი ნინას თქუა,
დუს ლაფიქ გინგოწუ,
მუჭო თოლეფს უფაფუა,
ურიაცალო გაგაწვალე,

დაგიდგებიან ვაჭრები,
შენს შესაკრავად ჩამოკიდებული
მაქვს

მაკარიას თოკები.

ჯამუ

– შე ურჯულო, რად მიყავი,
ასეთ საქმეში გარევა,
სტუმარს ასე ხვდება
ამ საქმეში მოწვევა?
უცხო არვინ ვიყავით,
არც პირველი შემთხვევაა.
რაც გინდა, ნებით წაიღე.
სირცხვილია ძარცვა.

კოკაიას ქალი

– ასეთი სიტყვები არ გიშველის,
ნუ მეუბნები ბოდიშებს,
სახელად გეყოფა
ცოლი გყავს ოდიშში.
რომ მოვა, დაგივლის,
გაგიკეთებს „ობისკს“
სიკოს ჯოხის ნარტყამს
ზურგზე შეამჩნევს.

ჯამუ

– იმედია, მიიღებთ
პატიოსან თხოვნას,
დაპირება რაც არის,
ჯამუ ტყუილს არ იტყვის.
ღმერთმა იცის, მე არ ვწუხდები
თქვენგან ასეთი ლანძღვით.

კოკაიას ქალი

– სიყალბე გიმიტკიცდება,
ცბიერ („გადრევილ“)ენას იტყვი,
თავზე ლაფი დაგესხა,
როგორ ახამხამებ თვალეებს,
ურიასავით გაწვალე,

ოკორკირქ-გიხართუა,
სუდიშა მიდგოსარგალუა,
ჯიხას ქენგობათქუა.

გულია ჩაჩა

– „გერიგით, ბაბა-სქუა,
დაჩხირ ვარე უშქირატ,
ხორციელი კოჩი ვარ,
ქრისტე ვარე უჩილათ,
მუჭო წესი დო რიგინი
სახარებას ურჩქილათ,
მინავათ მეუტუათ
კეთილი საქმეს უძინათ.
მა სიმართლე ჭშმარიტი
მემოწმებუ თე საქმეს.“

ქიჩინეს ჯგირობუა,
მოციქულეფე მიდართეს,
ოშ მანათი ხეს ფარა
ოსურს მეჩეს გილართელს,
ხუთი თუმანიში მოკისერეთ
ბაძალუა მიართვეს.

*

ჯამლეთის მოწონებუ
კოკელიხე ჯგირიცალო,
სიფარშივეთ გილუნოვე,
მინორჩქუე ჩილიცალო,
კოკენეს გოჯოგუ,
ჩქინი ჯამუ ჭირიცალო,
ბოლოს ჯამუ მეკათაფუ,
უგმუსთელი ვირიცალო.
ჯამლეთი ქორქია რე
ჯვეში დროში ვაჭარე,
კოკელიხეშ რკიაფი დო
სიკოიაში ლაჭალიე².

შეგკრავ შეგბოჭავ,
სასამართლოში წაგათრევ,
ციხეში ჩაგაგდებ.

გულია ჩაჩავა

– „მორიგდით, ბაბა, შვილებო,
ცეცხლი არაა უშრეტელი,
ხორციელი კაცი კი არა,
ქრისტე არა უცდომელი.
როგორც წესია და რიგი,
სახარებას ვუსმინოთ,
შეცოდება ვაპატიოთ,
კეთილ საქმეს ვუმატოთ.
მე სიმართლე ჭშმარიტი
მემოწმება ამ საქმეში.“

იცნეს სიკეთე,
მოციქულეები წავიდნენ,
ასი მანეთი ხელში ფული
ქალს მისცეს სალამო ჟამს.
ხუთი თუმნის თავდებად
ბაძალუა¹ დაუდგა.

*

ჯამლეთს მოსწონებია
კოკელიხე კარგივით,
მაცდურობით დადიოდა თურმე
თურმე ცოლად მიაჩნდა.
კოკოხეს შესძულეგია,
ჩვენი ჯამუ ჭირივით.
ბოლოს ჯამუ მივარდნია
გამოუცდელ ვირივით.
ჯამლეთი ქორია არის,
ძველი დროის ვაჭარია,
კოკაიას ქალის კივილი და
სიკოიას ჩხუბია.

1 გვარია

2 ლაჭალი – ხმამალალი ლანძღვა.

ვლადიმერ ჭითანავა, აბასთუმანი (ზუდგიდის რ-ნი), 1936.

(ქართული ხალხური სიტყვიერება მეგრული ტექსტები I პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტოგო გუდავამ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1975, 306–312).

III

ჯამუში დო კოკეინეში ამბე

მონაწილეები:

ჯამუ – მეველე, ცვანაში ჭყეში,
კოკეინე – ოსური კოკაიაში
გვარიში ოჯახიშე, ჩხოლუში
მინჯე.

*

ლორონთქ თიშენ დამაბადუ,
ვალდებული ვათუენი.
სარაგადოთ გიცხადუთუ,
ჯარი იკოვკათუენი,
ჰოდო, მოწყენილი დროს
თენა გეშავათუენი.

თაქ ამბეს მოგოშინანთ:

ჯამუქ უჭლოფუ კოკეინეს ჩხოლუ,
მაჟირა დღას კოკეინექ
მერთუ,
შეხვეწუ დო
თხოლუ:

კოკეინე:

ჯამუ პატონი, თქვა ჭოფითო
ოთიფურეს ჩქიმი ჩხოლუ?
მემოხვარით, მიჭყოლოფით,
ვითოხუთირე გენი ხოლუ.

ჯამუ:

სწორეთ, ჩხოლუ მა ვჭოფი,
მიკომკირუ ბაწარითუ,
უკანონოთ ვეემაჩე,
თქვა თიზუმა მანწვალითუ.
ნაზარალუ ოკო ენწყათ
სწორეთ ათე მაჭვალითუ.

ჯამუს და კოკეინეს ამბავი

მონაწილეები:

ჯამუ – მეველე, ყანის მწყემსი
კოკეინე – ქალი კოკაიას გვარის
ოჯახიდან, ძროხის პატრონი.

*

ღმერთმა იმიტომ დამბადა,
ვალდებულება შევასრულო.
სათქმელად (საჯაროდ)
გიცხადებთ,
რომ ჯარი (აქ – ხალხი) შევეყარო
და მოწყენილ დროს
ეს გავათავო (ამოვწურო).

აქ ამბავს მოგახსენებთ:

ჯამუმ დაიჭირა კოკეინეს ძროხა,
მეორე დღეს კოკეინე
მივიდა (მასთან),
შეეხვეწა და
თხოვა:

კოკეინე:

ჯამუ ბატონო, თქვენ დაიჭირეთ
სათივეზე ჩემი ძროხა?
დამენმარეთ, მიწყალობეთ,
თხოუთმეტია, რაც ხბო შობა.

ჯამუ:

სწორედ ძროხა მე დავიჭირე,
დაბმული მყავს თოკით,
უკანონოდ ვერ მოგცემ,
თქვენ იმდენი მაწვალეთ.
ზარალი უნდა ამინაზღაუროთ
სწორედ ამ მეწველით
(ე.ი. ძროხით).

კოკეიხე:

ჯამუ პატონი, ჩქიმი ჩხოლ
დომირთინეთ, მა ცოდას,
გენი შქირენს დომილურუ,
დიდაში ძუძუს მეჭყორდას,
ვარდა თაში განწირენთო, –
კოჩქ მუთუნი შერცოდას?

ჯამუ:

აბა ურჩქილი თე ოსურს,
მუსრე გერტოპალანსუნი.
ვარწყექო ჩქიმ ცვანას,
თეშ მადიდა-მაგანას,
სქანი ჩხოლუში ნაზარალუ
ვეიაჭკირე
ვითი კოჩიში მაგანას.

კოკეიხე:

ჯამუ პატონი, მუს მიწილინთ,
კონილი თქვანდა დივირთი,
მემოჯინით ოსურობას,
კოჩიშ ქუდი გითვით,
ჩქიმი ჩხოლუში ნაზარალუ

ართი-ჟირო მიირთვით.

ჯამუ:

აბა მურე ქოვიჩქუნდა,
ართის გიწილინქ ოფულარს,
მოჯგირეში საქმესუ დო
ცოროფილიშ ორჩქინალს,
თაქიან ოკეთებელსუ დო
ვართ ვიშონი ოჩინალს...

კოკეიხე:

ჯამუ პატონი, მუს მიწილინთ,
აქ მუ მილუ მა ცოდას,
სქანი გურიში სასარგებლოდ,
ჩქიმი ჩხოლუს მირსხენდას.

კოკეიხე:

ჯამუ ბატონო, ჩემი ძროხა
დამიბრუნეთ მე საცოდავს,
ხბო შიმშილით მომიკვდება,
დედის ძუძუს რომ მოწყდება,
ან ასე გასწირავთ
კაცმა რამე შეგცოდოს?

ჯამუ:

აბა შეხედე ამ ქალს,
რასაა რომ ტიტინებს.
ვერ ხედავ ჩემს ყანას,
ამ სიდიდე-სიგანეს,
შენი ძროხის (მიყენებულ) ზიანს
ვერ აჭრის
ათი კაცის ნამგალი..

კოკეიხე:

ჯამუ ბატონო, რას მეტყვით,
ისევ თქვენთან დავბრუნდი,
შეხედეთ ჩემს ქალობას,
კაცის ქუდი დაიხურეთ,
ჩემი ძროხის (მიყენებული)

ზარალი

ერთი-ორად მიირთვით.

ჯამუ:

აბა რაა თუ იცი?
ერთს გეტყვი საჩუმათოს,,
სასიკეთო საქმესა და
სიყვარულის გამჩენს,
აქ გასაკეთებელსა და
არც იქით შესათვლელს.

კოკეიხე:

ჯამუ ბატონო, რას მეტყვით,
აქ მე რა მაქვს საცოდავს,
შენი გულის მოსაგებად
ჩემს ძროხას რომ მიხსნიდეს.

ჯამე:

ოსური რეე დო მუ გიწუა,
კორი ორდე ხოლო შხვარე...
მუთ გიწილინ ათენარე,
გირაგადუე – ცოროფალე!
ბაწარი გეზუნი-ჩხოროფალე...
ქიიქუნქ და ათენარე,
ვარა ეში ვეემაჩე...
ჩქიმი გურს გოლოფარე!

კოკეიხე:

დია შური, მუს ვირჩქილექ,
მა თურქიში ონთირალი,
ჯამე პატონი, მა ვორექო
სქანი ოსურიში ოთირალი?
სქანი ოსური – ზისინახე,
ხე დო კუჩხი ოჭკირალი...
ქომიშკიდუანქ და
მუ შორს გაფუქ,
ვართ ცხენს ოკო ნალი.

ჯამე:

აბა ჩხოუს მეუკინი,
რადგან პირობა ქომუჩინი,
ჭუმე სქან ცუჩა მეურქუ დო
ცხადი ცოროფა ქომირჩქინი...
ეჯგურა ჩხოუს ერის მერჩანქ,
ოლონდ კოჩო ქომიჩინი...

თეჯგურა მორიგებაში უკული

კოკეიხეს მუში ჩხოუ
მეყუნსუ დო მეჩქარენს,
სიკოიაქ ქაუხვადუ,
მეურაგადუ მეშარეს,
თითო-თითოთ ქუუწუუ
მუთ პირობა დოჭარეს,

ჯამე:

ქალი ხარ და რა გითხრა,
კაცი იყო, კიდე სხვაა...
რაც გითხარი ეგ არი,
გეუზნები – სიყვარულია!
თოკი რომ აბია, ცხრაწვერია...
თუ იზამ და ეგ არის,
ანდა ისე ვერ მოგცემ...
ჩემს გულში გვალვაა!

კოკეიხე:

ღმერთო ჩემო, ეს რა მესმის,
მე თურქის სათრევს,
ჯამე ბატონო, (განა) მე ვარ
შენი ცოლის გასაცვლელი?
შენი ქალი – მზეთუნახავი,
ხელი და ფეხი დასაჭრელი...
თუ მიკადრებ,
რა შორს გყევარ,
არც ცხენს უნდა ნალი.

ჯამე:

აბა ძროხა მისწიე (წაიყვანე),
რადგან პირობა მომეცი,
ხვალ შენს სახლში მოვალ და
ცხადი სიყვარული მიჩვენე...
ასეთ ძროხას ოცს მოგცემ
ოლონდ კაცად მიცანი...

ასეთი მორიგების შემდეგ

კოკეიხეს თავისი ძროხა
მიჰყავს და მიიჩქარის,
სიკოია შემოხვდა,
ელაპარაკა გზად შეხვედრილს,
სათითაოდ მოუყვა
რაც პირობა დაწერეს,

კოკეინე (სიკოიას):

– „თიქ მართალო ქომორთუდა, გეუბეგუნქ ოფარეს.“

კოკეინე (სიკოიას):

– „ის თუ მართლა მოვიდა, დავუბეგვავ გვერდებს.“

სიკოია:

„ძღაბ, მართალო ქომორთუდა, ხეს ქომორთხუნს მოჯგირეს, სი მანგარო დუუხვადი, მეურკიე მოხვარეს! ჩქი თექ ვიპუაფუთ დო დივტყობოუთ ოშქარეს, ჯამუს მანგარო დოვბრეგუნთ, გენკუონწყუნთ ოსარეს...“

სიკოია:

„გოგო, მართლა თუ მოვიდა, ხელს მოგკიდებს მოყვარეს, შენ მაგრად დაუხვადი, მიაკივლე დამხმარეს! ჩვენ იქ ვიქნებით და დავიმალებით ჩეროში, ჯამუს მაგრად მივბეგვავთ, გავხდით პერანგს...“

მაჟირა დღას გოთანდუ დო ჯამუქ გახლოლეს თაქ, გოლანეიშენი ფიქრენს – მითინქ ვავძირას შხვაქ. მარა ჩქიმ ნტერს ფერი, ჯამუს გიუდირთუ დლაქ, მოჯგირეში საწყენქუ დო ნტერიში ოძიციანაფარქ...

მეორე დღეს გათენდა და ჯამუ გეახლათ აქ. უწინდელზე ფიქრობს – ვინმემ არ მნახოს სხვამ. მაგრამ ჩემს მტერს ისეთი ჯამუს რომ დაადგა დლე, მოყვრის საწყენი და მტრის გასაცინი...

მუჭოთ რიგი დო წესი რენი ხე ქომოთხუ მოჯგირეს... კოკეინექ მიორკიოუ: „მემოხვარით, მორჯგინეს!“ ყარაულენქ გეითოსოფეს, ჯამუ ვარწყე ოჯგირეს... ჯამუქ რტება მინდომ, მარა ოჭოფეს დო დონჯგვილეს...

როგორც რიგი და წესია ხელი მოკიდა მოყვარეს... კოკეინემ მიაკივლა: მომეშველეთ, მაჯობეს! დარაჯები გამოვარდნენ, ჯამუ ვერ ხედავს სასიკეთოს... ჯამუმ გაქცევა სცადა, მაგრამ დაიჭირეს და ჩაბუბნეს.

ჯამუ (კოკეინეს):

სი ულდინო, მუშენ ვლოლი თეჯგურა საქმეში ენწყულა, ვართ შორებელი ვორექუ დო პირვეით ვარე შემთხულა, ნებით მუთ გოკონი ილი, კანონი ვარე ერჩულა...

ჯამუ (კოკეინეს):

შე უჯგურო, რად მიქენი ასეთი საქმის მოწყობა, არც შორებელი ვარ და პირველიც არ არის შემთხვევა, ნებით რაც გინდა წაილე, კანონი არ არის გაძარცვა.

კოკეიხე:

რადგან ცუხრა მომაკათი,
ვარდი ჩქიმი ნაჭანფი,—
სუდიშა მიდგორჩარალუანქ,
დუს გეგორენა ვაჭარეფი.
სქანი ოკირალო მოკო
მაკარიამ ბაწარეფი...
ოჭკომალო მენგორჩქვენო
ჩქიმიჯგურა საწყალეფი!

**ჯამუ სუდიშა ქიმეცუნა.
ქაუხვადუ მოშარექ.**

მოშარე:

„ო, ჯამუ! ო, ჯამუ
სი ჭვირი ჯამუ!
მუ ხალხი გინგობუნძოლანს,
ორჩინუეს მუ რლოლამუ
სი საფულე იონჯამუ,
ვარწყეჟო თეზუმა ხალხი
ლობერ კიდეს გინოჯანუ.“

ჯამუ (მოშარეს):

სი ლორონთქ დორჭყუას,
ირო თაში ორდე ყმედი,
გიოშაკანაფალ რენო
კორიში მომავალი ბედი.
იშ გურიშენი გაჩენდი დო
ჯგირი ნინათ დიხენდი.

(მიმართავს ხალხს);

იმედი რე ჯიმალეფი,
მიიღენტ თეჯგურა ნათხუალს...
დაპირება მუთი რენი,—
ჯამუ ტყურას ვათქუანს.

ართ-ართი მემაცვენჯი:

სუდიშა ნიმერუნა,
უკახალე დივირთათ,

კოკეიხე:

— რადგან სახლში მომივარდი,
არ იყავ ჩემი მოწვეული,
სასამართლოში წავატრევე,
თავზე გადგანან ვაჭრები.
შენს შესაკრავად მინდა
მაკარიას თოკები.
შესაჭმელად მიგაჩნდა
ჩემისთანა საწყლები?

**ჯამუ სასამართლოში მიჰყავთ.
შემოხვდა მგზავრი.**

მგზავრი:

„ო, ჯამუ! ო, ჯამუ!
შე დამწვარო ჯამუ!
რა ხალხი დაგხვევია,
ამ სიბერეში რა დაგმართნია,
შე, საფლავგასათხრელო,
ვერ ხედავ, ამდენი ხალხი
ლობის კიდებე გადმოწოლილა.“

ჯამუ (მგზავრს):

შენ ღმერთმა დაგწყევლოს,
სულ ასე იყავ ყბედი,
დასაყვედრებელია განა
კაცის მომავალი ბედი,
ამიტომაც გაჩერდი და
კარგი ენით დაიურვე.

(მიმართავს ხალხს):

იმედია ძმებო,
მიიღებთ ასეთ თხოვნას
დაპირება რაცაა, — ჯამუ
ტყუილს არ იტყვის.

ერთ-ერთი გამყოლი:

მოსამართლესთან ნუ მიგყავთ,
უკან დავბრუნდეთ,

პატიოსანი კორი რე დო,
გვალია ჩაჩაშა მიივშვათ!

პატიოსანი კაცია და
გვალია ჩაჩასთან წავიდეთ.

გვალია ჩაჩა

(სოფეიში ჭკუიანი კორი):
„დეერიგით, ბაბა-სქუა,
ე დაჩხირი უშკირატუ,
ხორცი მყოფი კორი ვარ,
ქრისტე ვარე უჩილათუ!
მინავათით მევოტუათ,
კეთილი საქმეს ვუძინათ,
მა ართი კორი, ჭემმარიტო,
გემოწმებუთ თე ამბეს!
ქიმინით შემწეობა!“

გვალია ჩაჩა

(სოფელში ჭკვიანი კაცი):
„მორიგდით, მამა-შვილობას,
ამ ცეცხლით უშრეგით
ხორციელი კაცი კი არა,
ქრისტე არაა შეუმცდარი!
ბოდიშით მივუტევოთ,
კეთილ საქმეს ვუმატოთ.
მე ერთი კაცი, ჭემმარიტად,
გემოწმებით ამ ამბავში!
ქენით მოწყალეობა!“

ათეშ უკული:

კოკეიხე დო ჯამუშ შკაშა
მოციქულო გიართეს...
ოში მანათი ხეს ფარა
კოკეიხეს მიართვეს,
ხუთი თუმანიში თავდებო
ბალისკუა ქემერეს,
საწყალ ჯამუს უკახალე
მანგარი პანლური მიართვეს
დო თაშ გეთუ თე ამბეჟ...
და ასე გათავდა ეს ამბავიც.

ამის შემდეგ:

კოკეიხეს და ჯამუს შორის
მოციქულად იარეს...
ასი მანეთი ხელზე ფული
კოკეიხეს მიართვეს,
ხუთი თუმნის თავდებად
ბალიშვილი მისცეს,
საწყალ ჯამუს უკან
მაგარი პანლური ამოსცხეს
და ასე გათავდა ეს ამბავიც.

მთქმელი – დავით ცხაკაია, ქვაითი (მარტვილის რ-ნი), 1948.

შენიშვნა: 1948 წელს დავით ცხაკაია მარტვილის საშუალო სკოლის მე-8 კლასში ჩემი თანაკლასელი იყო, ცხოვრობდა გეგეჭკორის (დღეს – მარტვილის) რაიონის სოფ. ქვაითში და სკოლაში იქიდან ფეხი დადიოდა. მერცხალივით ჭიკჭიკა და უნიჭიერესი ბიჭი იყო. მან მრავალი ასეთი ხალხური ლექსი იცოდა ზეპირად, საოცრად ბაძავდა შინაურ ფრინველებსა და ცხოველებს, რითაც გაკვეთილზე მასწავლებლებს მოსვენებას არ აძლევდა. ვმეგობრობდით. ის ერთი-ორჯერ მომიყვა ჯამუს და კოკეიხეს ლექსს, რომელიც კარგად იყო გართიმული და ადვილად დამამახსოვრდა.

ეს ლექსი დედას რომ ჩამოვუწიკწიკე, ძალიან მოეწონა და შემდეგ ხშირად მამეორებინებდა. თბილისში, სტუდენტობისას, ჩემმა მა-

მიდაშვილმა ჯონდო ფაილოძემაც იგი ლამის დაიზეპირა და ხუმრობით მეც ჯამუს მეძახდა. ასე დამამახსოვრდა ეს პოემასავით საკმაოდ გრძელი ლექსი. დღეს არც დედაა ცოცხალი და არც ჯონდო. ღმერთმა გაანათლოს მათი სულები! მარტვილიდან წამოსვლის შემდეგ არც დათო ცხაკაიასი მსმენია რამე.

ასე გაიარეს წლებმა... ხანდაზმულობის ასაკში შევედი. ლექსი თანდათან მიმავიწყდა, მაგრამ თავს ძალა დავატანე და 2003 წლის მარტში (ე.ი. 56 წლის შემდეგ), ერთხელ კიდევ გავიხსენე ეს ლექსი-პოემა, გავაკეთე პარალელური (ბჭკარედით) ქართული თარგმანი, ავკრიფე კომპიუტერზე და ამოვბეჭდე ჩემი არქივისათვის. ვფიქრობ, ეს ლექსი მეგრული ფოლკლორის უმშვენიერესი ნიმუშია,

ამირან გაბისონია
2003 წ. 15 აპრილი